ზაალ ქორთუა

1991-92 წწ. სამხედრო გადატრიალების ასახვა უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში

(საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით)

ანოტაცია: პუბლიკაცია შეეხება ისეთ დრამატულ მოვლენას საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როგორიცაა 1991-92 წლების მიჯნის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ასახვა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნარკვევში ქრონოგრაფიული თანმიმდევრობით, გამოცემის წლების მიხედვით განხილულია საქართველოს ისტორიის აკადემიური სახელმძღვანელოები და ისტორიული ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებშიც ასახულია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური პერიპეტიები. ისტორიოგრაფიული კვლევა ამ მიმართულებით ჯერ არ ჩატარებულა და ამ მხრივ წარმოდგენილი სტატია სიახლეს წარმოადგენს. პუბლიკაციაში ნაჩვენებია განხილული წიგნების ავტორების დამოკიდებულება მოვლენისადმი. ფინალში სტატიის ავტორი ასკვნის, რომ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მომავალში მეტი ინტენსივობით წარიმართება.

Zaal Kortua

1991-1992 military turnover in the recent Georgian historiography

(concerning the 80th anniversary of Zviad Gamsakhurdia, the first president of Georgia)

Annotation:The publication concerns the state turnover in 1991-1992, the dramatic event in the recent history of Georgia, and its description in the modern Georgian historiography. Academic textbooks and historic scientific researchers are discussed in chronological order, pursuant to the years of publication. They show the political situation of this period. Historiographic research in this field has never been conducted and this article represents the novelty. Publication shows the attitudes of the book authors toward the event. The author of the article concludes that scientific research in this field will be carried on more intensively since this issue is very actual.

1991-92 წლების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური მოვლენები ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს. კანონიერი, პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლების დამხობამ მისი პოლიტიკური ოპოზიციის, კრიმინალური ელემენტებისა და რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთების მიერ სათავე დაუდო დესტრუქციული ძალების მოსვლასქვეყნის

სათავეში. საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალება მსგავსი ტიპის გადატრიალებებისაგან განსხვავდება რიგი მახასიათებლებით:

1. კრიმინალური ელემენტის, ქვეყანაში არსებული კრიმინალური სამყაროსწარმომადგენელთა უპრეცენდენტო აქტიური ჩართულობა მიმდინარე და შემდგომი პერიოდის პროცესებში;

2. გარეშე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების პირდაპირი მონაწილეობა;

3. რევანშისტული ძალების ანუ ე.წ. ,,მესამე კოლონის'' (პოლიტიკური ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა, საბჭოთა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი) აქტიური მონაწილეობა გადატრიალების იდეურ მომზადებასა და განხორციელებაში;

4. გადატრიალების შედეგებმა მოიცვა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგი და მიმართულება და მისი მთლიანი პარალიზება მოახდინა. მოვლენა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ გავლენა იქონია ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაზე მთელი შემდგომი ორი ათეული წლის განმავლობაში და უკან დასწია მათი ტრანსფორმაცია-გარდაქმნის, ახალი დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა-ინპლანტაციის ტემპი.

როგორც აღინიშნა, გადატრიალებამ გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსი: სახალხო მეურნეობის მოშლა და ნგრევა, სახელმწიფო ქონების აბსოლუტური დატაცება, სახელმწიფო მმართველობითი სისტემის პარალიზება ცენტრსა და ადგილებზე, სასურსათო და ენერგო კრიზისი. ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები კრიმინალური ზედაფენის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, სრულად დაკარგეს რა ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენისა და ამ მიმართულებით საჭირო ინიციატივის გამოჩენის უნარი. დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ ქვეყანაში მოიშალა დემოკრატიული ინსტიტუტები. საქართველო, სულ რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირში შემავალი, ცხოვრების დონით ყველაზე განვითარებული რესპუბლიკა, დროის უმცირეს მონაკვეთში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ მხარედ გადაიქცა.

სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლის შედეგად გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან ერთად ყველაფერი გააკეთა საქართველოს ფართომასშტაბიან საომარ კონფლიქტში ჩასაბმელად. ,,სახელმწიფო საბჭომ''-

ქვეყნის უმაღლესმა მმართველმა ორგანომ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში 100-ზე მეტი ერთეული სამხედრო ტექნიკა შეიყვანა ,,სარკინიგზო მაგისტრალებზე წესრიგის დასამყარებლად.'' ამ ფორმით აფხაზეთში წესრიგის დამყარების ცდა საბედისწერო აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის. ის საომარ კონფლიქტში აღმოჩნდა ჩათრეული არა მარტო სეპარატისტებთან და მათ ჩრდილო კავკასიელ მოკავშირეებთან, არამედ რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებთან, რომლებიც საბრძოლო ტექნიკითა და საომარი აღჭურვილობით უწყვეტად ამარაგებდნენ სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებებს. შუალედური ე.წ. ,,სამშვიდობო'' ხელშეკრულებები, რომლებიც თან ახლდა საომარ კონფლიქტს, რუსეთის ფედერაციის მედიატორობით მიმდინარეობდა და ყველა ეტაპზე საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდა. მთავრობა გულუბრყვილოდ თანხმდებოდა მედიატორის მიერ შემოთავაზებულ საზავო პირობებზე, რაც ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა კიდეც. 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი კონტროლი აფხაზეთზე. ასეულ ათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილი აღმოჩნდა.

აფხაზეთის ომი ქვეყანაში არსებული ურთულესი შინაგანი დაძაბულობისა და პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, რაც უკიდურესად უშლიდა ხელს ერთიანობის განცდას და კარს მომდგარი უდიდესი საშიშროების გათავისებას. ომის დასკვნით ეტაპს საბედისწეროდ დაემთხვა ზვიად გამსახურდიას მთავრობისა და პირადად დევნილი პრეზიდენტის ჩამოსვლა დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდში. ხელისუფლების ორივე შტო ---დევნილი და ფაქტიური მმართველი, ყოველნაირად ცდილობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან შენარჩუნებას და ქვეყანაში სრული კონტროლის დამყარებას. ,,სახელმწიფო საბჭო'' ე. შევარდნაძის მეთაურობით ცდილობდა კანონიერი პრეზიდენტის მომხრეთა გადაბირებას და ურჩთა ლიკვიდაციას. განსაკუთრებული პრობლემები მას დას. საქართელოში -სამეგრელოსა და აფხაზეთში შეექმნა. აფხაზეთში სამხედრო შენაერთების შეყვანის ერთ-ერთ მიზეზად იქ ე.წ. ,,ზვიადისტების'' სიმრავლე და მათ მიერ სოხუმში მრავალათასიანი მიტინგების ორგანიზება შეიძლება დავასახელოთ. ზუგდიდში მყოფი ზ. გამსახურდია უმთავრეს ამოცანად თბილისში ჩასვლას და ხელისუფლების დაბრუნებას მიიჩნევდა. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ძალები დეზორგანიზებულად მოქმედებდნენ. მათი უმნიშვნელო ნაწილი სეპარატისტებს ებრძოდა, ნაწილი - სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში იყო განლაგებული და ,,სახელმწიფო საბჭოს'' დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთებისგან (,,მხედრიონი,'' სხვა

ფორმირებები) იცავდა მოსახლეობას და საკუთარ კონტროლქვეშ არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს.

არსებულმა არნახული მასშტაბების სამოქალაქო დაპირისპირებამ, ქაოსმა და ანარქიამ საბოლოო ჯამში ქვეყნის ტერიტორიული რღვევა გამოიწვია, რომლის უმთავრესი მიზეზიც 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებში იღებს სათავეს.

როგორ აისახა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენა 1991-92 წწ. სამხედრო გადატრიალების საკითხი? ისტორია გარკვეულწილად კლასობრივი მეცნიერებაა, რომელიც მმართველი პოლიტიკური გუნდის ინტერესების გამოხატვას ემსახურება. ისტორიული მეცნიერების ,,პარტიულობის და ისტორიზმის'' პრინციპები საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენდა, რომელიც ე.წ. ,,ისტორიზმის პრინციპით'' თავის უმთავრეს მიზნად ისტორიული პროცესის მმართველი პოლიტიკური ელიტის სტრატეგიული კურსის დაცვასა და მისი სიძლიერის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ისტორიის გარკვეულწილად სუბიექტუროზა მისი არსის განუყოფელი ნაწილია. აქ მთავარია, თუ ვინ არის ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის შემოქმედი და ვინ რა პოზიციიდან უყურებს მას. ისტორიული მოვლენის აბსოლუტური ობიექტუროზით შესწავლა ძალიან რთულია, მისი მეტ-ნაკლები სიზუსტით შესწავლა მოვლენის პოლიტიკურად აქტუალური ფაზიდან სხვა, პოლიტიკურად შედარებით განელებულ გარემოში გადასვლიდან იწყება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გადატრიალების ინიციატორთა და უშუალო შემსრულებელთა პოლიტიკური ზეობის პერიოდში ამ საბედისწერო მოვლენის მიზეზ-შედეგობრივ სრულფასოვან შესწავლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ,,მანტიის''მეცნიერთა დიდი ნაწილი შეგნებულად არიდებდა თავს არა თუ კვლევას, არამედ ამ საკითხზე საუბარსაც კი.

ქვეყნისა და ზოგადად საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესწავლა ისტორიული მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა. მომავალმა თაობამ ,,...აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი'' /ივ. ჯავახიშვილი/.

ერთი ცნობილი გერმანელი ისტორიკოსისა არ იყოს, ისტორიას არ გააჩნია განვითარების უზოგადესი კანონები, ისე როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებს - ფიზიკას, ქიმიას ან მათემატიკას, მაგრამ ისტორია სჯის საზოგადოებას თავისი გაკვეთილების უცოდინარობისათვის.

ზემოთ აღნიშნული პროცესების პირველი ზოგადი ასახვა ქართულ ისტორიოგრაფიაში განეკუთვნება 1996 წელს, როცა გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო - დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის (ავტორთა ჯგუფი ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი). წიგნის რედაქტორია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, უდროოდ გარდაცვლილი უნიჭიერესი მეცნიერი ილია ანთელავა. 335 გვერდიანი სახელმძღვანელოს 315-ე გვერდზე ვკითხულობთ: ,,...საქართველო კი, რომელმაც პირველმა გაიღო მსხვერპლი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იზოლაციაში აღმოჩნდა, რადგან მისი რეჟიმი არ იქნა ცნობილი დემოკრატიულად. 1992 წ. დასაწყისში პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას რეჟიმი სამხედრო ძალით დაემხო.'' ეს არის და ეს, სხვა არაფერი წერია ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელოში საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველა შემდგომი უბედურების სათავედ წოდებული მოვლენის თაობაზე.

2002 წ. გამოიცა ისტორიკოსების მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოში მოკლედ, შედარებით თანმიმდევრულად არის ასახული 1991-92 წწ. მოვლენები. ავტორები აღნიშნავენ სამხედრო ძალით კანონიერი მთავრობის დამხობის შესახებ, თანმიმდევრულად აღწერენ შემდგომი პერიოდის მოვლენებს, ხაზს უსვამენ, რომ ,,აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ.''

2003 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიკოსების: ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძის, დიმიტრი შველიძის, ნესტან კირთაძის, ავთანდილ წოწკოლაურის, პაატა ფირანიშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ,,საქართველოს ისტორია XX საუკუნე.'' ნაშრომში გატარებულია იგივე აზრი, რაც მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოში. ავტორები ხაზს უსვამენ ოპოზიციის მოღალატეობრივ როლს მიმდინარე პროცესებში და დასძენენ, რომ სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

2008 წ. გამომცემლობა ,,უნივერსალმა'' დაბეჭდა ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მონოგრაფია ,,პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.)'' შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ნაშრომი წარმოადგენს

პირველ სქელტანიან (571 გვ.) ფუნდამენტურ გამოკვლევას 1991-1992 წწ. საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების წინაპირობების, მსვლელობისა და თანმდევი პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ავტორი ეყრდნობა მდიდარ ბიბლიოგრაფიულ ბაზას: მრავალფეროვან პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც ნათლად ასახავენ საკვლევი პერიოდის რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას; ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერთა მემუარებს, ინტერვიუებს, გამონათქვამებს, რომლებიც საკვლევ პერიოდში და მის შემდეგაც მრავლად იბეჭდებოდა; ისტორიულ და პოლიტიკურ ანალიტიკურ გამოკვლევებს. წიგნის ფინალში ავტორი აყალიბებს ლოგიკურ, ობიექტურ დასკვნებს 1991-92 წწ. მოვლენების შესახებ, რომლებსაც ძნელია არ დაეთანხმო.

2010 წელს კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიკოს კახა შენგელიას სქელტანიანი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში, რომელიც მოიცავს ისტორიულ მონაკვეთს უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე. ავტორი 290-ე გვერდზე ლაკონურად, მაგრამ გარკვევით აყალიბებს თავის ხედვას ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენის შესახებ. ,,საბჭოთა კავშირის ხელისუფლება აშკარად ებრძოდა ,,ურჩ რესპუბლიკებს'', რომელთაგან საქართველო გამოირჩეოდა. 1991 წლის შემოდგომაზე მან სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებულ ოპოზიციას. 1991 წლის 22 დეკემბრიდან ანტისამთავრობო სამხედრო და სხვა სახის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ალყაში მოაქციეს მთავრობის სასახლეში მყოფი ეროვნული ხელისუფლება. 1991 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად თბილისი დატოვა.''

2012 წ. გამოიცა საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცნობილი ქართველი ისტორიკოსები: აკადემიკოსები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: მ. სამსონაძე, მ. ნათმელაძე,ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური. წარმოდგენილი ოთხტომეული წარმოადგენს საბჭოთა ეპოქაში გამოცემული ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' მოდერნიზაციის ერთგვარ ცდას. ჩვენი შეფასების საგანს არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის აკადემიურობის საკითხი ზემოთ ნახსენებ გამოცემასთან მიმართებაში. ერთგვარი გაკვირვებით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ავტორთა პერსონალიის მაღალი სამეცნიერო რეიტინგისა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განხილვა-შესწავლისაგან მათ საერთოდ თავი შეიკავეს და მხოლოდ 1990 წლის მოვლენებით შემოიფარგლნენ. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ გააგრძელა მუშაობა ავტორთა ჯგუფმა თუნდაც 2003 წლამდე, ე.წ. ,,ვარდების რევოლუციამდე'' მოვლენების შესწავლით. ერთი რამ

ცხადია, რომ ასეთი ფართო ფორმატის სამეცნიერო პროდუქცია, როგორიც წარმოდგენილი გამოცემაა, მკითხველისთვის მეტი სიახლის მომცემი უნდა ყოფილიყო.

2014 წ. გამოიცა ისტორიკოსების მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (XIX – XX საუკუნეები), რომელშიც ავტორები შეუცვლელად იმეორებენ წინა ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს აღნიშნული საკითხის შესახებ..

საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემური საკითხების შესწავლის საქმეში უდაოდ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ბრიტანელი ისტორიკოსის დონალდ რეიფილდის 2019 წელს ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომი ,,საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე; სამიათასწლოვანი ისტორია.'' სქელტანიანი ნაშრომის 564-ე გვერდზე ავტორი აღწერს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში, ის საკმაოდ ნეგატიურად ახასიათებს ზ. გამსახურდიას მოღვაწეობას ქვეყნის პირველი პირის რანგში. ავტორი აღნიშნულ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა და გარკვეული სიახლოვეც ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებთან, რაც ნათლად ეტყობა მის წარმოდგენას საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ზ. გამსახურდია მხარს უჭერდა ,,სამეგრელოს დამოუკიდებლობას'' და საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას, რაც კატეგორიულად მიუღებელი აზრია. დ. რეიფილდი მოვლენებს ცოცხლად აღწერს, მაგრამ მისი დასკვნები ხშირად სანდოობით არ გამოირჩევა.

1991-92 წწ. მოვლენები დიდი ხნის განმავლობაში იქნება სამეცნიერო დისკუსიისა და განხილვის საგანი. მომავალში ბევრ ბურუსით მოცულ საკითხს მოეფინება ნათელი. შეიცვლებიან პიროვნებები, შეიცვლება მიდგომა. მომავალი თაობა განსხვავებული თვალით შეხედავს საქართველოს უახლოესი ისტორიის ამ მეტად დრამატულ ფურცელს და შეეცდება ისტორიის გაკვეთილების მართებულად განზოგადებას, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული მსგავსი მძიმე ხასიათის შეცდომები.

ლიტერატურა:

მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი. ი. ანთელავას რედაქციით. 1996. *საქართველოს ისტორია. დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის.*

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. 2002. *საქართველოს ისტორია.* IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელო.

ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, დიმიტრი შველიძე, ნესტან კირთაძე, ავთანდილ წოწკოლაური, პაატა ფირანიშვილი. 2003. *საქართველოს ისტორია XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ გამომცემლობა.

დიმიტრი შველიძე. 2008. *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.).* გამომცემლობა ,,უნივერსალი".

კახა შენგელია. 2010. *საქართველოს ისტორია.* კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. 2012. სარედაქციო საბჭო: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე; მ. სამსონაძე, მ. ნათმელაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური.

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. 2014. *საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (XIX – XX საუკუნეები).*

დონალდ რეიფილდი. 2019. *საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე; სამიათასწლოვანი ისტორია.*